სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო
სამეგრელო-ზემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი

LEPL SOCIAL SERVICE AGENCY

KA030475259661420

2100, ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N93. ტელ.:(8 415) 25 23 91; 25 23 92
2100, 93, Rustaveli Street, Zugdidi . Tel.:(8 415) 25 23 91; 25 23 92

#04-09/848
29 / იანვარი / 2020 წ.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს
სოციალური დახმარებების ადმინისტრირების
დეპარტამენტის უფროსს ბატონ გია აფხაზავას

ბატონო გია,

სოციალური მომსახურების სააგენტოს სამეგრელო–ზემო სვანეთის სამხარეო ცენტრს მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის აღდგენის განცხადებით მომართა ლალი მარგიანმა პ/ნ 19001022976, რომლის ოჯახი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იყო საიდენტიფიკაციო კოდით 070237408201, სარეიტინგო ქულით 32 980 და 2019 წლის ნოემბრის ჩათვლით ერიცხებოდა საარსებო შემწეობა 350 ლარის ოდენობით.

2019 წლის დეკემბრიდან ოთხწლიანი გენერაციის საფუძველზე ოჯახს შეუჩერდა საარსებო შემწეობა და 2019 წლის 12 დეკემბერს შეივსო ახალი დეკლარაცია რა დროსაც სააგენტოს უფლებამოსილი პირისაგან განემარტათ სრულწლოვანი წევრების დასაქმების საიტზე რეგისტრაციის შესახებ.

2019 წლის 16 დეკემბერს ოჯახის სამივე სრულწლოვანმა წევრმა ვალერიანე მარკელიამ პ/ნ 62006025699, ლალი მარგიანმა პ/ნ 19001022976 და თამათა მარკელიამ პ/ნ 62009006527 დასაქმების საიტზე Worknet.gov.ge-ზე რეგისტრაციის მოთხოვნით მომართეს სამხარეო ცენტრს.

2020 წლის 12 იანვარს ცენტრალური აპარატის მიერ პროგრამულად შეწყვეტილი იქნა ოჯახის რეგისტრაცია მონაცემთა ბაზაში მიზეზით: არ არის რეგისტრირებული worknet.gov.ge - ზე. ბაზის გადამოწმებით დადგინდა, რომ თამათა მარკელიას პ/ნ 62009006527 რეგისტრაცია აღნიშნულ საიტზე არ იყო დასრულებული. არსებულ გარემოებასთან დაკავშირებით ბენეფიციარმა განმარტა, რომ 2019 წლის 16 დეკემბერს რეგისტრაციის პროცესში ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს, კერძოდ ინტერნეტ კავშირის გაწყვეტას. ხარვეზის აღმოფხვრის შემდგომ გაგრძელდა რეგისტრაცია, რაც დადასტურდა ბენეფიციარის მხრიდან ხელმოწერით.

აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით მოხსენებითი ბარათი წარმოადგინა დასაქმების პორტალზე worknet.gov.ge - ზე რეგიატრაციაზე აღნიშნული პერიოდისთვის პასუხიმგებელმა, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულმა ეკატერინე თოლორაიამ, რომელიც აღნიშნავს, რომ ინტერნეტ კავშირის აღდგენის შემდგომ განახორციელა თამათა მარკელიას პროფილის დასრულება და დასრულების შესახებ მოქმედების ისტორია ასახა ბექ–პორტალზე. აქვე აღნიშნავს, რომ პროფილის დაუსრულებლობის შემთხვევაში შეუძლებელია ბექ–პორტალზე გამოჩნდეს ბენეფიციარის მონაცემები. კონკრეტულ შემთხვევაში პორტალზე ჩანს, რომ თამთა მარკელია დარეგისტრირდა 2019 წლის 16 დეკემბერს და მას გაეწია სრული მომსახურება გამოცხადების დღესვე. მისი განმარტებით, სავარაუდოდ ბაზაში ოჯახის რეგისტრაციის შეწყვეტა გამოწვეულია ტექნიკური ხარვეზით.

გამომდინარე იქიდან , რომ ოჯახისთვის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის შეწყვეტა არ არის გამოწვეული ბენეფიციარის მიზეზით, გთხოვთ კომისიური წესით განიხილოთ ოჯახისთვის ს/კ 070237408201 რეგისტრაციის აღდგენის საკითხი.

დანართები: ელექტრონულად

პატივისცემით,

სამეგრელო-ზემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნატალია ქირია